1 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ
2026

რიგითი XVII კვირა [I]

წმ. ალფონს მარია დე ლიგვორი, ეპისკოპოსი, რედემპტორისთა დამაარსებელი, ეკლესიის მოძღვარი, +1787 ნოჩერა დეი პაგანიში (იტალია), (მ), თ

იერ 26,11-16.24; ფს 68; მთ 14,1-12

გამოასწორეთ თქვენი სქესიელი იერ 26,13

წინასწარმეტყველ იერემიას უპირებენ განსჯას და განაჩენის გამოტანას. იგი კვლავაც მოუხმობს მთელი ხალხს ღმერთის მორჩილებისკენ. მნიშვნელოვანია მოვუსმინოთ მას და ჩვენი ცხოვრება შევუსაბამოთ მის სიბრძნეს. ღმერთის სიყვარული პატარებისა და ღარიბებისადმი უნდა გამჟღავნდეს ადამიანურ სამართლიანობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ღმერთის უღირსია და წარმოშობს სიღარიბესა და ტანჯვას მთელი ხალხისთვის.

2 კვირა 2026

კვირეული

რიგითი XVIII კვირადღე, «ა», [II], მწ

[წმ. ევსები, ვერჩელის ეპისკოპოსი, +371;
წმ. კეტრე ივლიანე ეიმარდი, ხუცესი, წმ. საიდუმლოს მღვდელთა და მონაზონ დედათა კონგრეგაციის დამაარსებელი, +1868 ლამურში (საფრანგეთი);
(20.VII) წმ. სალომე ქართველი, წამებული, +~1227]

ეს 55,1-3; ფს 144; რომ 8,35.37-39; მთ 14,13-21

ერთ ულაბურ წყალს განმარტოდა მთ 14,13

იესომ რომ გაიგო იოანე ნათლისმცემლის სიკვდილის შესახებ ჰეროდეს ხელით, წავიდა, ეშინოდა რომ მისი ბოროტება მასაც მიაღწევდა. მაგრამ მარტო ყოფნა, იესოსთვის, ნიშნავს ლოცვაში ყოფნას, მამის მოსმენას. მაგრამ უკვე ადამიანებს აღარ შეეძლებათ მის გარეშე ცხოვრება: მას მიუახლოვდებიან ჯანმრთელნი და სნეულნი, რომლებსაც იგი კურნავს. თუმცა ჰეროდე არ დააჯილდოვებს მას მისი ტანჯული ქვეშევრდომების განკურნებისთვის.

3 ორშაბათი 2026

აგვისტო

რიგითი XVIII კვირა [II], მწ

იერ 28,1-17; ფს 118; მთ 14,22-36

„უფალო, ქმნენი! მთ 14,30

ეს არის პეტრეს ძახილი, რომელიც ვერ დარჩა რწმენაში, როცა თავი საფრთხეში იგრძნო. დგას წყლის ზედაპირზე, როგორც იესო, და მიდის მისკენ. საკმარისია ქარის ერთი დარტყმა და ის ივიწყებს უფალს, რომელიც მის წინ დგას. როცა იძირება, ხმას იმაღლებს დახმარებისთვის. და აჰა, იესო მზად არის ხელი ჩასჭიდოს და გადაარჩინოს.

4 აგვისტო

სამშაბათი
2026

რიგითი XVIII კვირა [II]

წმ. იოანე მარია ვიანეი, ხუცესი,
არსელი კიურე, +1859, (მ), თ

იერ 30,1-2.12-15.18-22; ფს 101; მთ 15,1-2.10-14

ისინი ბრმები არიან ბრმათ წინამძღოლები მთ 15,14

იესოს დიდი სიმამაცე სჭირდება ასე სალაპარაკოდ. მიმართავს მწიგნობრებსა და ფარისევლებს, ყველაზე პატივსაცემ ადამიანებს ხალხში და ყველაზე ავტორიტეტულებს მათი რელიგიური ძალისხმიევისათვის. როგორ შეიძლება იესომ თქვას, რომ სწორედ ისინი არიან ბრმები? ვერ ხედავენ, რომ ის ღმერთის ძეა. და ამიტომ არავის მიიყვანენ მამასთან.

5 ოთხშაბათი 2026

აგვისტო

რიგითი XVIII კვირა [II], მწ

წმ. მარიამის მთავარი ბაზილიკის კურთხევა

იერ 31,1-7; ფს, იერ 31,10-13; მთ 15,21-28

უდის საკრებულოს დღეობა მთაში

იმავე წუთიდან ძისი ქალიშვილი განიკურნა მთ 15,28

იმავე წუთიდან, ანუ, როდესაც იესომ აღიარა
იმ ქალის რწმენა. როგორ დაინახა იესომ
რწმენის სიდიადე? დაინახა დაჟინებულობა,
მოთმინება და ქალის მოკრძალება. მან
განაგრძო იესოს იმედი, სამჯერ მიმართა მას
უფლად, და განაცხადა, რომ ნებისმიერ შემ-
თხვევაში იესოს სიტყვა ჭეშმარიტებაა.

6 აგვისტო

ხუთშაბათი
2026

უფლის ფერისცვალება, დ, [ს], თ

(24.VII) წმ. ილარიონ თვალოელი, მონაზონი, +1041

დან 7,9-10.13-14 ან 2პეტრ 1,16-19; ფს 96; მთ 17,1-9

დ. მარიეტ დეროშეს გახსენება (+2022)

ნათელმა ღრუბელმა ტფარ ისინი მთ 17,5

სამი მოწაფე მთაზე ლოცვაში არიან იესოსთან ერთად. მართალია, რომ პეტრემ, თავისი ჩარევით, შეაწყვეტინა იესოს საუბარი მოსესა და ელიასთან, მაგრამ არავის მიუქცევია მისთვის ყურადღება. ახლა ღრუბელი, ისიც ნათელი, როგორც უფლის სახე და სამოსი, ფარავს მათ. ისინი სიბნელეში არიან, ასე უკეთ შეუძლიათ მოუსმინონ სიტყვებს, რომლებიც ისმის ღრუბლიდან. შენ გახსოვს და ინახავ ამ სიტყვებს: გამზადებენ შენ რომ დაინახო, ამიერიდან, მხოლოდ იესო.

7 აგვისტო

რიგითი XVIII კვირა [II], მწ

პარასკევი
2026

წმ. ქსისტე II, პაპი და მისი მეგობრები, წამებულნი რომში, +258; / წმ. კაეტანე, ხუცესი, თეატინელთა დამაარსებელი, +1547 ნეაპოლში

ნეემ 2,1.3; 3,1-3.6-7; ფს: რჯლ 32,35-41; მთ 16,24-28

მიაგებს თითოეულს მის საქმეთა მისლვრით მთ 16,27

რა საქმეების ხილვა სურს უფალს? იმ საქმეთა, რომლებიც თავად გაიხსენა: მის კვალში მიყოლა, საკუთარი თავის უარყოფა, საკუთარი ჯვრის აღება. ვინც ამ გზით ცხოვრობს, მიიღებს ღმერთისგან საუკუნო, ღვთაებრივ ჯილდოს, ისეთს, რომ ვერც კი წარმოიდგენ რამდენად სასიამოვნო, ლამაზი და მდიდარია!

8 შაბათი 2026

აგვისტო

რიგითი XVIII კვირა [II]

წმ. დომენიკე, ხუცესი, მქადაგებელ ძმათა დამაარსებელი, +1221 ბოლონიაში, (მ), თ

აბაკ 1,12 - 2,4; ფს 9; მთ 17,14-20

ჰოი, ურჩმუნო ბ ბოროტო თობავ მთ 17,17

იესო გაოცებულია, რომ მისი საკუთარი მოწაფეებიც კი ვერ ცნობენ, იმ ნიშნებიდან, რაც მან მოახდინა, რომ მასში მოქმედებს ღმერთის სიყვარულის ძალა. სურთ თვითონ იმოქმედონ, მის გარეშე... მაგრამ ავი სული გარბის მხოლოდ იესოს სიახლოვის წინაშე. უნდა მოეხმოთ მისთვის მოკრძალებით.

9 ივისტო

ივირა 2026

რიგითი XIX კვირადღე, «ა», [III], მწ

[წმ. თერეზა ბენედიქტა ჯვრისა (ედიტ შტაინი), კარმელიტელი, ქალწული და წამებული, ევროპის მფარველი, +1942 ოსვენციმში, დ, [ს], წ]

3მეფ 19,9.11-13; ფს 84; რომ 9,1-5; მთ 14,22-33

მცირედმორწმუნენ, რაგომ ეჭვიდი? მთ 14,31

იესო საყვედურობს პეტრეს. ქარის ერთი დარტყმა აღმოჩნდა საკმარისი, რომ დაევიწყებინა, რომ ის იქ იყო. ახლა უკვე ჩასჭიდა ხელი და დააბრუნა ნავში სხვებთან ერთად, ანუ ეკლესიაში: საყვედური მოდის მას შემდეგ, რაც საფრთხემ ჩაიარა. ასე მოქმედებს იესოს სინაზე.

10 ორშაბათი 2026

აგვისტო

წმ. ლავრენტი, დიაკონი,
წამებული რომში, +258, დ, [ს], წ;

(28.VII) წმ. ღირსი გიორგი მაშენებელი, +1029

2კორ 9,6-10; ფს 111; იო 12,24-26

თუ კი მოკვდ, მოიტანს ოცდ ნაყოფს იო 12,24

ლავრენტი პირისპირ დგება სიკვდილთან შიშის გარეშე: მასში მოქმედებს სიყვარული იესოსადმი. იცის, რომ მისი სიკვდილი საჭიროა იმისთვის, რომ იესომ მიიღოს მოწმობა, და ამიტომ არ ეშინია. იგი მოკვდება, მაგრამ ბევრი მიიღებს სიცოცხლეს.

11 სამშაბათი 2026

აგვისტო

რიგითი XIX კვირა [III]

(29.VII) წმ. ევსტათი მცხეთელი, წამ. +550 (მ), წ;
წმ. კლარა ასიზელი, ქალწული, უპოვარი დედათა, ანუ კლარისათა დამაარსებელი, +1253, (მ), თ

ეზეკ 2,8 - 3,4; ფს 118; მთ 18,1-5.10.12-14

თუ... არ გაქცევით როგორც ბავშვები... მთ 18,3

წმიდა კლარა ასიზელი გვეხმარება არა მხოლოდ გავიგოთ, არამედ განვახორციელოთ იესოს ეს სიტყვა. მან მიიღო იგი თავის უფლად და დაემორჩილა მას იმ ნდობით, რომლითაც ბავშვები უსმენენ მამას ან დედას. როცა ბავშვი ვარ, არ ვკითხულობ მართალია თუ არა იესო, არამედ ვაკეთებ იმას, რასაც იგი ამბობს. არ არის საჭირო ეჭვის შეტანა მასში.

12 ოთხშაბათი 2026

აგვისტო

რიგითი XIX კვირა [III], მწ

წმ. იოანა ფრანცისკა დე შანტალი, ოჯახის დედა, შემდგომ მონაზონი, ანესიში ვიზიტაციის დედათა დამაარსებელი, +1641 მულენში (საფრანგეთი)

ეზეკ 9,1-7;10,18-22; ფს 112; მთ 18,15-20

სტკა ორი ან სამი შეკრებილია ჩემი სახელით,
მეცა იქა ვარ მთ 18,20

რა არის ყველაზე საჭირო და ლამაზი სახლისთვის, სოფლისთვის, სამრევლოსთვის, ჯგუფისთვის? რომ იქ იესო იყოს! თუ ის იქ არის, არ დარჩება უქმად. სადაც ის არის, ხდება სიყვარულის სასწაულები. მაშ რატომ არ შევიკრიბოთ მის სახელით? შევიკრიბოთ, არა ვირტუალურად ტელევიზორის ან სმარტფონის მეშვეობით, არამედ რეალურად, ისე, რომ მოგვიწიოს ერთმანეთის ატანა, რათა შევძლოთ ერთმანეთის შეყვარება.

13 აგვისტო

რიგითი XIX კვირა [III], მწ

ხუთშაბათი
2026

(31.VII) წმ. არსენ ნინოწმინდელი, ეპისკოპოსი, +1018;
წმ. პონციანე პაპი და იპოლიტე ხუცესი, წამებულნი სარდინიაში, +~235

ეზეკ 12,1-12; ფს 77; მთ 18,21-19,1



მთ 18,29

ეს სიტყვები იესომ ათქმევინა მსახურს, რომელსაც თავისი ბატონის ვალი ჰქონდა. გვირჩევს, ამ სიტყვებით შევხვდეთ ჩვენს მამას. ჩვენ მოვალენი ვართ მის წინაშე ყოველივეში და ვერ ამოვალთ მისი ვალი-დან, თუ არა ერთი გზით: თავად იგი, ჩვენი შეყვარებით, გვაძლევს სიყვარულს მისთვის "დასაბრუნებლად", სიყვარულს, რომელიც აკმაყოფილებს მის გულს. ერთმანეთის სი-ყვარულით სურვილს შევუსრულებთ.

14 პარასკევი 2026

აგვისტო

რიგითი XIX კვირა [III]

წმ. მაქსიმილიან მარია კოლბე, ხუცესი, კონვენტუალი მინორი ძმა, წამებული, +1941 ოსვენციმში, (მ), წ

ეზეკ 16,1-15.60.63; ფს: ეს 12,2-6; მთ 19,3-12

საღამოს, მარიამის ზეცად აღყვანების დიდდღესასწაულის ვიგილიური წირვა, **1 ნეშტ 15,3-4.15-16; 16,1-2; ფს 131; 1კორ 15,54-57; ლკ 11,27-28**

აპრ არიან ორი, არაქედ ერთი ხორცი მთ 19,6

როდესაც ადამმა, გაკვირვებულმა, თავის გვერდით პოვა ევა, როგორც ღმერთის უანგარო საჩუქარი, საბოლოოდ იხილა განხორციელებული თავისი ცხოვრება: მის გარეშე იგი არ იყო სრული კაცი, რაკი არავინ ჰყავდა შესაყვარებლად. მისი დახმარებით შეასრულებდა ღმერთის ჩანაფიქრს ახალი ადამიანების შექმნის საქმეში. მასთან ერთად მისი კაცობრივ ბუნებას შეეძლო მიებაძა ღმერთისთვის, რომელიც სრულად უძღვნის საკუთარ თავს.

15 აგვისტო

შაბათი
2026

უწმიდესი მარიამ ღმრთისმშობლის ზეცად აღყვანება, დდ, [ს], თ

გამოც 11,19;12,1-6.10; ფს 44; 1კორ 15,20-27; ლკ 1,39-56

თბილისის ღვთისმშობლის ზეცად აღყვანების კათოლიკური საკათედრო ტაძრის დღეობა; უდის დიდი კათოლიკური ეკლესიის დღეობა.

ლკ 1,52

ეს სიტყვა მოდის მარიამის ბაგიდან. მას შეეძლო ეთქვა ეს, რადგან ეს მოხდა მის ცხოვრებაში. იგი იყო პატარა, უმნიშვნელო, ყველას მიერ უგულებელყოფილი, მაგრამ ღმერთმა გახადა იგი თავისი ძის დედად, მონაწილე თავისი დიდებისა. თუ მდაბლებს ღმერთი აღამაღლებს, განა ამ მდაბლებს არ ვცემთ პატივს ჩვენ? და არ მოვინდომებთ ვიყოთ ასეთი მდაბალნი და მშვიდნი, რომ არ დავრჩეთ მამის ყურადღების გარეშე?

16 ივისტო

ივირა 2026

რიგითი XX კვირადღე, «ა», [IV], მწ

თბილისის მარიამის ზეცად აღყვანების კათოლიკური საკათედრო ტაძრის კურთხევა, დდ [(სამრევლოებში - დ)], [ს], თ
[წმ. სტეფანე, უნგრეთის მეფე, +1038; (3.VIII) წმ. რაუდენ მოწამე, +457]

ეს 56,1.6-7; ფს 66; რომ 11,13-15.29-32; მთ 15,21-28

შეუსრული თხოვნა მთ 15,23

მოციქულები დაიღალნენ იმ ქალის ყვირილით. თხოვენ იესოს შეუსრულოს სათხოვარი, არა იმიტომ რომ ებრალებათ იგი ან მისი ქალიშვილი, არამედ იმიტომ რომ მისი სიახლოვე შემაწუხებელია. იესო შეუსრულებს სათხოვარს, არა მათ გამო, არამედ იმიტომ რომ დაინახავს მასში "დიდ" რწმენას, თავმდაბალს და ამიტომ სანიმუშოს თავისი მოციქულებისთვისაც კი.

17 ორშაბათი 2026

აგვისტო

რიგითი XX კვირა [IV], მწ

ეზეკ 24,15-24; ფს: რჯლ 32,18-21; მთ 19,16-22

მოდი! გამოძიები! მთ 19,21

იცი რა მოხდა? ერთი ახალგაზრდა მოვა-
რდა იესოსთან, რომ ეკითხა, თუ რა უნდა
ექნა საუკუნო სიცოცხლის მისაღებად. იესო
კმაყოფილია ამ კითხვით: ბოლოს და ბო-
ლოს ვიღაც სთხოვს მას სერიოზულ რამეს!
თავად ის არის სიცოცხლე, სიცოცხლე, რო-
მელიც მოდის ღმერთისგან, ამიტომ საუკუნო
სიცოცხლე. ამის მისაღებად, უფრო სწორად,
ამის განსაცდელად, საჭიროა გაჰყვე იესოს.
იზამს ამას ეს ახალგაზრდა? ფლობდა ბევრ
სიმდიდრეს: მას უჭირდა, და ამიტომ უარი
თქვა სიცოცხლეზე.

18 სამშაბათი 2026

აგვისტო

რიგითი XX კვირა [IV], მწ

ეზეკ 28,1-10; ფს: რჯლ 32,26-28.30.35-36; მთ 19,23-30

ღმერთისთვის ყველაფერი შესაძლებელია მთ 19,26

იესომ ისაუბრა აქლემზე, რომელიც გადის ნემსის ყუნწში. შესაძლებელია? შესაძლებელია თუ არა მდიდარი მონაწილეობდეს ზეციურ სასუფეველში? ეს ღმერთის ძღვენია, და ღმერთს შეუძლია მდიდარს მიმადლოს სიმდიდრეზე უარის თქმის მადლი. ეს ხშირად მომხდარა ადამიანთა ისტორიაში.

19 ოთხშაბათი 2026

აგვისტო

წმ. იოანე ოდი, ხუცესი,
ოდისტთა დამაარსებელი, +1680 კანში
(ნორმანდია, საფრანგეთი)

ეზეკ 34,1-11; ფს 22; მთ 20,1-16

ნებით თქვენ ეინაცმი მთ 20,7

პატრონი ეძებს მუშებს. აკეთებს ამას თავისი ვენახის სიყვარულით თუ იმ ადამიანების სიყვარულით, რომ არ დარჩნენ უმოქმედოდ? თუ იმიტომ რომ ადამიანებმა შეძლონ საკვების მიტანა თავიანთი ოჯახისთვის? აკეთებს ამას იმისათვის, რომ შეძლოს მათი დაჯილდოვება და ასწავლოს მათ არ შურდეთ, არამედ ისურვონ ყველას კეთილდღეობა, ყველამ გაიხაროს ღმერთის უსასყიდლო სიყვარულით.

20 აგვისტო

ხუთშაბათი
2026

რიგითი XX კვირა [IV]

წმ. ბერნარი, კლერვოს აბატი, ცისტერცენსი,
ეკლესიის მოძღვარი, +1153, (მ), თ

ეზეკ 36,23-28; ფს 50; მთ 22,1-14

არ ეცვა სქორწილო სამოსი მთ 22,11

მისი სამოსი არ გამოხატავდა სიხარულს მეფის ძის ქორწილისთვის. შევიდა თავისი სამოსით ამაყად, რომელიც არავისგან ჰქონდა მიღებული. განსხვავდებოდა ყველა დანარჩენისგან. მისი სამოსი ამბობდა, რომ აკლდა თავმდაბლობა: ამიტომ არ შეეძლო ყოფნა ზეციურ სასუფეველში.

21 აგვისტო

პარასკევი

2026

რიგითი XX კვირა [IV]

წმ. პიუს X, პაპი, +1914 რომში, (მ), თ

ეზეკ 37,1-14; ფს 106; მთ 22,34-40

შეიყვარებ შენს მოყვასს როგორც საკუთარ თავს მთ 22,39

ეს არის ბრძანება, მსგავსი პირველისა, მსგავსი იმიტომ რომ გამოხატავს იმავე სიყვარულის უნარს. "შეიყვარებ": ეს არის ერთი ბრძანება, რომელიც ფარავს და ავსებს ჩვენს ყველა ურთიერთობას, ღმერთთან და ადამიანებთან. და თითქმის თანასწორს გვხდის ღმერთთან, რომელიც სიყვარულია!

22 აგვისტო

შაბათი

2026

რიგითი XX კვირა [IV]

ნეტ. ქალწ. მარიამ დედუფალი, (მ), თ

ეზეკ 43,1-7; ფს 84; მთ 23,1-12

ვარგავის ეკლესიის დღეობა

თქვენ ყველანი ძმები ხართ მთ 23,8

მარტივია ამის თქმა! თუმცა, ჩვენთვის რთული ჩანს ამის შესრულება. მაგრამ სინამდვილე ასეთია: ჩვენ ძმები ვართ ღმერთის გულში. ძმებად ყოფნა დიდი სიხარულია, მაგრამ, იმის გამო რომ ეგოისტები ვართ, ამ ჭეშმარიტებასთან შესაბამისობა ჩვენთვის რთულია. მივიღებთ უფლისგან მადლს განვაგრძოთ მოქცევა, რომ ჩვენი ძმობა ჩანდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორ შევძლებთ ვიყოთ ღმერთის შვილები?

23 აგვისტო

ივნისი 2026

რიგითი XXI კვირადღე, «ა», [I], მწ

[წმ. როზა ლიმელი, ქალწული, დომინიკელთა ტერციარი, +1617 ლიმაში]

ეს 22,19-23; ფს 137; რომ 11,33-36; მთ 16,13-20

ქვესკნელი ვერ ჰძლევს ძას მთ 16,18

რას ნიშნავს ეს? რომ ეკლესია არ განადგურდება? იესომ უდაბნოში უბრძანა სატანას: "განვედ!". მაშინ ის წავიდა, მაგრამ არ შეუწყვეტია თავად იესოს ცდუნება, და არ შეწყვეტს ეკლესიის ცდუნებას. ბრძანება, რომელიც იესომ მას მისცა, ჯერ კიდევ ძალაშია. არ გაიმარჯვებს. ეკლესია იქნება ცოცხალი და ერთგული ღმერთისადმი, ყოველთვის. იქნებიან იუდა მოღალატეები და პეტრე უარმყოფელები, მაგრამ ისინი ვერ გახდიან ეკლესიის გაქრობის მიზეზი, რადგან იესო ერთგულია მისადმი!

24 აგვისტო

ორშაბათი
2026

წმ. ბართოლომე მოციქული, დ, [ს], წ

გამოც 21,9-14; ფს 144; იო 1,45-51

ისილვ უფრო დიდ საქმეებსაც იო 1,50

ბართლომე-ნათანაელი გაოცდა, რომ იესომ დაინახა იგი ლეღვის ხის ქვეშ, ანუ ჩართული წმიდა წერილების კითხვასა და კვლევაში. და იესო პასუხობს, რომ ეს მცირე რამაა. იგი იხილავს წმიდა წერილების აღსრულებას: დაინახავს, რომ სიტყვა, რომელიც ანგელოზებმა ზეციდან დედამიწაზე მოიტანეს, სრულდება სწორედ მასში!

25 აგვისტო

რიგითი XXI კვირა [I], მწ

სამშაბათი 2026

წმ. ლუდოვიკე, საფრანგეთის მეფე, +1270 ტუნისში
წმ. იოსებ კალასანსი, ხუცესი, დედა ღვთისას ღატაკთა და ღვთისმოსავ სკოლათა მოწესე მღვდელმონაზონთა ორდენის დამაარსებელი, +1648 რომში

2თეს 2,1-3.13-17; ფს 95; მთ 23,23-26

ვაი თქვენ... რომელნიც უგულებელყოფთ... მოწყალებას მთ 23,23

იესოს უთუოდ სურს რომ ღმერთი გაეცნოს ადამიანებს როგორიც არის სინამდვილეში. იგი არის "მოწყალე, ზანტი რისხვაში და დიდი სიყვარულში", როგორც უკვე ბევრჯერ უთქვამს. გინდა გააცნო იგი ვინმეს? აჩვენე შენში არსებული მისი ეს დამოკიდებულებები! წინააღმდეგ შემთხვევაში მცდარ მოწმობას იძლევი.

26 ოთხშაბათი 2026

აგვისტო

რიგითი XXI კვირა [I], მწ

2თეს 3,6-10.16-18; ფს 127; მთ 23,27-32

ვისცა შრომა არ სურს, ის ნუარცა ჭამს 2თეს 3,10

წმიდა პავლეს დროსაც კი ქრისტიანულ თემში ზოგიერთი ზარმაცი იყო, გულგრილი, იმდენად რომ უმოქმედოდ ცხოვრობდა, სხვისი შრომის ხარჯზე. მოციქულს მკაცრი სიტყვები აქვს ამ ზარმაცებისთვის. ვისაც უყვარს ღმერთი და მიჰყვება იესოს, ცდილობს დაეხმაროს და არ უგულებელყოფს შრომას. იღებს მას თავისთვის, როგორც საკუთარ ჯვარს, რომელიც უნდა ატარო სიხარულით.

27 ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ 2026

ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

რიგითი XXI კვირა [I]

წმ. მონიკა, წმ. ავგუსტინეს დედა, +~387 ოსტიაში (რომთან), (მ), თ

1კორ 1,1-9; ფს 144; მთ 24,42-51

დიაკ. თენგიზ პარმაქსიზიშვილის გახსენება (+2021)

იყავით მზვა მთ 24,44

ქრისტიანებმა იციან, რომ იესო მოკვდა, აღ-
დგა და ზის მამის მარჯვნივ. როგორია ახლა
მათი ცხოვრება? ცხოვრობენ "მისი მოსვლის
მოლოდინში", როგორც ვამბობთ ლიტურგი-
აზე. იციან, რომ ყველაზე ლამაზი რამ არის
შეხვედრა მასთან, და ის მოვა. როდის? არ
არის მნიშვნელოვანი ამის ცოდნა. ყოველ-
თვის მზად ვრჩებით მისთვის.

28 აგვისტო

პარასკევი
2026

რიგითი XXI კვირა [I]

წმ. ავგუსტინე, ჰიპონის ეპისკოპოსი,
ეკლესიის მოძღვარი, +430, (მ), თ

1კორ 1,17-25; ფს 32; მთ 25,1-13

მიძინება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში



მთ 25,1

იესო რამდენჯერმე წარმოდგა როგორც სიძე, ის ვინც ხორცს ასხამს ღმერთის ერთგულ და სრულ სიყვარულს ერისადმი. ლამაზია ზეიმი მისთვის! დღევანდელი იგავით სწორედ ის გვეუბნება, როგორი მოლოდინი სურს. ვინც მას ელოდება, უნდა მოამზადოს და მიმართოს ყველაფერი ამისკენ, წინააღმდეგ შემთხვევაში არ იქნება მზად.

29 აგვისტო

შაბათი

2026

წმ. იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთა, (მ), [ს], წ

იერ 1,17-19; ფს 70; მარ 6,17-29

სიამოვნებით უსმენდ მარ 6,20

ჰეროდე სიამოვნებით უსმენდა იოანეს, ღვთაებრივი სიბრძნით სავსეს, რომელიც აცხადებდა იესოს. რჩებოდა გაოცებული, რადგან მისი სიტყვა გამოუვლენდა საკუთარ ცოდვებს. მაგრამ საკმარისი არ არის სიამოვნებით მოსმენა. როგორ მოხდა, რომ მოკლა იგი? ვინც ნამდვილად ისმენს, ცვლის საკუთარ ცხოვრებას, ანუ ემორჩილება. მაშინ კი ნამდვილად უერთდება ღმერთს და ცხოვრობს მისი ცხოვრებით, მისი სიყვარულით.

[(17.VIII) წმ. ტბელი აბუსერიძე, XIIIს]

იერ 20,7-9; ფს 62; რომ 12,1-2; მთ 16,21-27

მ. ანდრია გიგოლაშვილის გახსენება (+1937)

ვინცა ტკარგას სიცოცხლეს ჩემთვის, იპოვის ძას მთ 16,25

იესომ გამოუცხადა მოწაფეებს საკუთარი სიკვდილი. და ისინი? ისინი მოწაფეები არიან, რომლებიც მიჰყვებიან მას: მათაც დაუდგებათ თუ არა ადამიანთა მხრიდან უარყოფა და დევნა? მზად იქნებიან. ცხოვრება იესოსთვის და მასთან ერთად ტანჯვის გარეშე, იქცევა ცხოვრებად გემოს გარეშე. ყოველთვის ვიცხოვრებ მასთან, მაშინაც კი როცა ღირს ძალისხმევა ან ტანჯვა, ასე ჩემი ცხოვრება იქნება ჭეშმარიტი და იქნება ღმერთის ძღვენი სამყაროსთვის.

1კორ 2,1-5; ფს 118; ლკ 4,16-30

გაიარა მათ შორის ტ ნავიტ ლკ 4,30

სადაგ დღეებში ვიწყებთ ლუკას სახარების კითხვას. იესომ ნაზარეთში წაიკითხა წინასწარმეტყველ ესაიას რამდენიმე სტრიქონი. იქ, თავის სოფელში, იყო ცნობილი როგორც იოსების ძე, მაგრამ მან აღნიშნა, რომ სწორედ სიტყვა, რომელიც წაიკითხა, აცნობდა მას ჭეშმარიტად. თანასოფლელები იმდენად გაბრაზდნენ, რომ მოკვლა დაუპირეს. იესოს არ შეშინებია; გაიარა მათ შორის, თითქოს ეუბნებოდა: კარგად შემომხედეთ, ერთ დღეს ძებნას დამიწყებთ ღვთისაგან ხსნის მისაღებად.